



სასახლსი ფურცელი



ქრისტე და მდიდარი ყრმა.

მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.

ერთს მშვენიერ ზაფხულის დილას თავადი მურზაყან ალმასხანას სასახლეში ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინარეობა უეცრად შეიცვალა: ბწყინვალე თავადი ლომივით ღრიალებდა... მისი გამოკუსული და კაკლის ტოლა თვალები თითქო გადმოხტომას აპირებენ თავის ბუდიდანაო, ნაპერწკლებს ყრიდნენ; ახლად მოპარსული, მოგროძო და საკმაოდ მსხვილ თავზე და განიერ პირისახეზე, თითქო ყელში ბაწარი წაუჭერიათო, სისხლი წამოსწოლოდა და ქარხალივით გაწითლებოდა; სქლად ქონგადაკრულ ხელებს ხან კუმშავდა, ხან შლიდა, ერთს რომელიმე მხარეს მიუშვერდა და მქუხარე ხმით წამოიძახებდა; — „ეს რა მესმის?! ე რა გოუბედავს მაგ საძაველ კოლოს?! გაუბედავს და მერე ვისთვის გაუბედავს?! ვისუნთქავ და ჩაენთქავ მაგ... მაგ... მაგ ღორს, მაგ...“ — თავადი არ სცხრებოდა.

ქალბატონი ტერეზია სამოახლოში ფუსფუსობდა... მოულოდნელმა ამბავმა ისიც ძალიან გააცხარა, გააღიზიანა და ააპილპილა, მაგრამ, როგორც უცებ აენთო, ისევე უცებ დასცხრა, გული გონებას დაუმორჩილა და ახლა მხოლოდ იმაზე სწუხდა, რომ ვაჟბატონის მრისხანება საზღვარს გადასულიყო.

მას დიდი გავლენა ჰქონდა ქმარზე, როცა ეს უკანასკნელი კარგს გუნებაზე იყო, მაგრამ როცა გაბრაზდებოდა, აკრძალული ჰქონდა იმის დასამშვიდებლად რამე ღონე ეხმარა... ეს კარგად იცოდა ტერეზიამ და ამიტომ გაჰშორებოდა ქმარს, სანამ გულის წყრომა არ გაუვლიდა.

თავზარდაცენული ყმები სადღაც მიმალულიყვნენ და, თითქო სუნთქვაც კი შეუწყვეტიათო, მათი არსებობის კვალიც გაცივებულყო.

მოისმოდა მხოლოდ ერთს ხის ძირში მიგდებული, შავ წვერულვაშიანი, მაგრამ, შეხედულობით, შუახნის გლეხ-კაცის კრუსუნი... ის, ხან ნაცემ გულ-მკერდზე და გვერდებზე წაისვამდა ხელებს, ხან ყაბალახით გაკრულ თავზე და გასისხლიანებულ პირისახეზე „ვაი დედას“ ძახილით წაიფათურებდა და აკენესდებოდა... ეს იყო თავადის მოურავი, ძალზე ნაცემი, ნათრევი, გვერდებ ჩაღეწილი და სახე გასისხლიანებული.

მიზეზიც ის იყო თავადის გულისწყრომისა. ის თავის დამტვრეულ მოურავს უყურებდა და თვალებს არ უჯერებდა, წარმოდგენაც ეზარებოდა იმისი, რომ საბრალო მოურავი ზომაზე მეტად შეურაცყოფილი იყო, ისიც ყმის, ან, როგორც თითონ თავადი ამბობდა, დედამიწაზე მლოღავი უუმცირესი მწერის ხელით და ისიც ბატონის სამსახურის ასრულების დროს... მოურავის მდგომარეობა სიბრაულს იწვევდა, მაგრამ ეს გრძნობა თავადის გულს არ ესმოდა; შეურაცყოფილი მოურავის ქვეშ ის თავის საკუთარ თავს გრძნობდა შეურაცყოფილად და ეს მოსაზრება არ ასვენებდა მას... გარდა ამისა, მას ისიც აწუხებდა, რომ რამდენადაც თავს ძალას ატანდა საიმდროო განაჩენის შესადგენად, იმდენად მოსაზრება. ლალატობდა და ვერავითარ გადაპირულ პასუხს ვერ ჰპოულობდა, რომ მუხანათი ყმა სასტიკად დაესაჯა. ასეთ მდგომარეობაში მისთვის ფრიად საჭირო იყო რჩევა ქალბატონისა, რომელსაც არა ერთხელ და ორჯელ გაუყვანია ბატონი ფონს, მაგრამ ახლა ისიც არ ეკარებოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ გულფიცხობის დროს მოსაზრებულ რჩევა-და-

საქ. სსრ კ. მარაჩისი
ხახ, სახ. რ.
3 ბელი

რიგებს ვერ შეასმენდა ქმარს... რაკი გონებამ ვერაფერი სანუგეშო უწყალობა თავადს, მან თავისებურ განკარგულებას მიმართა:

— ბიჭო!—მრისხანედ დაუყვირა ცოცხალ-მკედარ მოურავს,— აქ მოეთრიე ამ წუთას... შეხედე, კიდევა წევს!.. ეთორიე მეთქი ზეზე, შე საძაგელო!—დაიღრიალა უფრო გაბრაზებულმა თავადმა.

თავზარდაცემული მოურავი ტანჯვა-წვალებით წამადგა, ორივე ხელით ჯოხზე დაეყრდნო, წახანხალდა და კრუსუნით ბატონს წარუდგა.

— ბიჭო, როგორ გაგიბედა მეთქი იმ მურტალმა, როგორ? სთქვი, მიაბე ჩქარა,—უფრო დაიღრიალა, ვიდრე ჰკითხა ბატონმა და მოურავს თვალები მიაშტერა.

მოურავი ლაპარაკის გუნებაზე არ იყო. ის იმდენად მისუსტებულყო, რომ არა თუ არ შეეძლო გაგძელებით ლაპარაკი და თავის საჭირ-ბოროტო თავგადასავალის ახსნა, არამედ ბატონის თითოეული სიტყვაც ჩაქუჩით ეცემოდა გალახულ თავზე და სიცოცხლე უმწარდებოდა... მან ვერაფერი სთქვა.

„მოკვლავ ამ ღორს!“—დაიქუხა გაბრაზებულმა ბატონმა, შეტრილდა, შევარდა სახლში, ჩამოხსნა თოფი და, ისიც იყო, ამართა ჩახმახი, რომ უცებ შემოვარდა თავზარდაცემული და სახე გაფითრებული ტერეზია, აუკრა იარაღზე ხელი და თოფის ხმამ გრიალი მოიღო ოთხკედელს შუა. ეს იყო რაღაც სასწაულებრივი მისწრება, რაც სამუდამო სამახსოვროდ დარჩენილიყო თავადის სასახლეში... თოფის ხმამ უცნაურად გამოაფხიზლა თავადი: მან ხელი უშვა თოფს და, თითქო ცივი წყალი გადაესხა, ფერმიხდილმა, გაკმიდა ხმა... ამ მდგომარეობაში ის კარგა ხანს დარჩა, შემდეგ გამოტრიალდა, სამჯერ პირველი გამოისახა და ჩამოჯდა სამფეხა სკამზე. ის არც ეხლა იღებდა ხმას. მის თავში მხელის სინილისი გაღვიძებულიყო და სინანულს შეეპყრო... მას ეხლა რცხვენოდა, რცხვენოდა ჯერ თავის-თავისაც, მაგრამ უფრო ქალბატონის, რომელიც ჯერ კიდევ მცველი ანგელოზით ადგა თავზე.

— მომიტევე, მამატიე,—მორცხვად, მაგრამ ზრდილობიანად უთხრა ბოლოს თავადმა თავის მეუღლეს,—აჩქარდი, უტბად ევენთე და სისულელე ჩავიდინე... მაგრამ შენც კი ხარ სამღურავის ღირსი, შენ ნუ მომიკვდები, რომ დროზე არ მომეშველე!

— დალოცვილო!—რბილად შენიშნა ქმარს ტერეზიამ,— შენ რომ გული მოგივა, მერე ღმერთი არ გახსოვს, არავის პატივისცემა არ გაქვს და, აბა, როგორ უნდა მოგკარებოდი, როგორ უნდა მოგშველდებოდი!

— მართალი ხარ... ამაშიაც მართალი ხარ, მაგრამ პირობას გაძლევ დღეის იქით ეს უმზგავსო ხასიათი მოვისპო: ან სრულიად არ გავჯავრდები, ან, თუ კიდევ გავჯავრდი, რასაც მეტყვი, დავიჯერებ.

— ეგ ხომ რიგანი და პატიოსანი, თუ შეიძელი, მაგრამ...

— შევიძლებ, უსათუოდ შევიძლებ.—გააწყვეტინა სიტყვა ქმარმა.

— ძალიან კარგი. მწამს შენი სიტყვის სიმტკიცე, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ამ შენს უგუნურ მოურავს მაინც რას ერჩოდო? ის ხომ მარჯვენა ხელად მიგაჩნია, ერთგული და გონიერი გგონია და მოკვლას რას ემართლებოდი?

— უცნაურიც ეგ არ არის?! იმას მაინც არ აკლდა ცემა და ტყეპა და მე კიდევ რას ვემართლებოდი?! კინალამ ღმერთი არ განვარისხე!

— შეინანე... ისიც შეინანე, რომ ეს მოუხეშავი ყმა მოურავადა გაყავს!.. საქმე მან არ იცის და განაჩენი: აქ ერთს ებღღვირება და იქ მეორეს... თავს ლაფი კი დავასხი! ყოველგნით ნაცემი და ნათრევი აქი ეგ მოდის... ლამის მთელი სოფელი ააჯანყოს მაგ საძაგელმა! შენ კი მაინც ეგ მოგწონს, იმის ნაცვალი თუ იპოვება—არ იცი!.. თათრის ომმა ქვეყანა გაატყავა, გააჩანაგა; შეუსმენარმა ჯარმა ისე მოთელა ჩვენი ქვეყანა, რომ ბალახსაც უჭირს ამოსვლა; ხალხი გააღატაკა, სარჩო-საბადებელი წაართვა; ხალხს შიმშილით კუჭი ეწვის; რომელ წყალში, რომელ ხრამში გადავარდეს არ იცის და ი შენი თვალის კაკალი მოურავი სულ იმას ჩაგჩიჩინებს, რომ მეტი დაადო ყმებს, მეტი მუშაობა მოითხოვო მისგან მეტი...

— კი, მაგრამ, აბა, როგორ უნდა მოვიქცე, ქალბატონო?—გააწყვეტინა სიტყვა მურზაყანმა,—ჩვენც ხომ წაგვართვა ომმა ყველაფერი! ჩვენი სასახლეც ხომ ასადგენია დღეს!.. არ მოვიტხოვოთ? როგორ შეიძლება?!

— მეც ვხედავ, რომ ითხოვთ და იმიტომაც გეუბნები, ეს უსამართლობაა მეთქი. ამ გვარი სამართლის, ამგვარი მოთხოვნის მოთმენა არ შეიძლება!.. მე გარწმუნებ...

— აბა რაში უნდა დამარწმუნო, ქალბატონო!—კიდევ წაართვა სიტყვა მურზაყანმა,—დღეს გარემოება შეიცვალა: მთელი სამთავრო და სათავადო მამულები, ეზო—კარი, ვენახი და ნახნავ-ნათესი თათრის ჯარისგან გადათელილ-გაოხრებულია; მთელი თავადობა უზომო გაჭირვებას ითმენს: ორ-სამს არა აქვს ორ-სამი თვის სარჩო-სიმინდი და ღომი... ყველაფერი ეს უნდა აღვადგინოთ; ყველაფერი ეს უნდა აღვადგინოს ყმებმა... ჩვენ ვალდებული ვართ მოვიტხოვოთ და ისინი ვალდებულნი არიან გვიზღონ... შიმშილით ხომ არ დავიხოცავთ თავსა! ყმებისგან მეტ ხარჯს, მეტ სამსახურ-მუშაობას ითხოვს დღეს დედოფალი, მთელი თავადობა და მასვე ვითხოვ მეც.

— მე შენს საქმეში არ ვერევი... მაგრამ შენს ადგილას რომ ვიყო, უსათუოდ დავარწმუნებდი ჩემს თავს, რომ არა მაქვს არაფერი არც სადედოფლო, არც სათავადო და არც მათი მიბაძვაა ჩემი ოჯახის მართვა-გამგეობაში საჭირო!—„ითხოვს დედოფალი, ითხოვს თავადებიო,“—ამბობ. მერე რა? იმათი მოთხოვნა შენთვის კანონი ხომ არ არის? ვინც ითხოვს, ითხოვს, შენს ადგილას კი მე არ მოვიტხოვდი... მართალია, თათრის ჯარმა შენ წაგართვა, მაგრამ ყმებსაც წაართვა; შენ თუ წაგართვა, იმდენი კიდევ დავარჩა, რომ საცხოვრებლად გეყოფა და ყმას თუ წაართვა, სულს გარდა არაფერი შერჩენია... ვისაც ყმა უნდა, სამერმისოდ სჭირია, არა თუ მეტი არ უნდა მოსთხოვოს ეხლა, პირიქით შემწეობა უნდა მისცეს, ხელი მოუმართოს, ზურგი გაუმაგროს, თუ უნდა შემდეგ სამსახური და ხარკი მოსთხოვოს... აბა რომელი ქრისტიანი კაცი დაადგამს გაძვალ-ტყავებულ და ზურგ გადაღლეჯილ ცხენს უნაგირს მორჩენამდის და ხორცის მოკიდებამდის, გარდა იმისა, ვისაც ამ ბახის სიკვდილ-სიცოცხლე ერთ ფასად არ უღირს?! აბა რომელი მეოჯახე დაადგამს თავის დავარდნილ ხარს უღელს, რომელიც უუღლოთაც ეცემა? აბა რომელი ჭკუაში მყოფი ადამიანი მოსთხოვს რძეს ძროხას, რომლის-თვის ბალახი არ უჭმევია?! ძროხა თუ გინდა, მისი რძე თუ გჭირია, საბალახოთაც უნდა გაუშვა, რომ რძე მოაგროვოს, მცირე და უმნიშვნელო ნაწილი თავის ნუკრსაც აჭამოს და შენ ქოთნები დაგიმოს! მაგრამ ასე არ იქცევით და მე წინდაწინვე მითქვამს, რომ ერთხელაც არის, კოკა გატყდება და წყლის წაღებაზე ხელს აიღებს!

— კი, მაგრამ... კი, მაგრამ... ეს ხომ... ასე რომ მოხდეს... აბა რის ბატონი, რის ყმა!.. უაზროდ დაიწყო მურზაყანმა და ბოლო ვერ მიატანა.


— მართლაც რის ბატონი, რის ყმა!—ირონიით დაუმატა ტერეზიამ.

ცოლ-ქმარს შორის სიჩუმე ჩამოვარდა...

თავადი მურზაყანი ბოროტი კაცი არ იყო. ის იყო გამოხატველი ძველებური უზრუნველი თავადისა. მისი ცხოვრების მიზანი იყო: ქეიფი, ჭამა და სმა; სმა, ჭამა და ქეიფი... ნადირობაც ძალიან უყვარდა და ყოველთვის იმას გაიძახოდა, ნადირობა ღვთის კურთხეულ მარჯვენას თავადების თავშესაქცევად მოუგონია და ვისაც ის არ უყვარს, ის თავადი არ არისო. ასეთი წარმოდგენის თავადს, რა თქმა უნდა, ძაღლებიც ერთობ ბევრი ჰყავდა და დღეში რამდენჯერმე წამოიძახებდა თითოეული მათგანის სახელს.—„ბიჭო, ყურჩას არ მომიშო, მერცხალას აჭამე, გიშერა გააძღე, თვალთა გაატარე, მურა გასწმინდე... ნახარში-ნახარში, ხორცის ნახარში არ მოაკლო ძაღლებსო,“—ყოველ დილა-საღამოს უბრძანებდა ის, ეგრედწოდებულ, „ყურზუალს“, რომელსაც ძაღლების მოვლა ჰქონდა დაკისრებული. თვითოეული ამ გვარ განკარგულების შემდეგ სულიერად კმაყოფილი რჩებოდა, თითქოს შეასრულა ყველაფერი, რაც მას მოეთხოვებოდაო... შეხედულობით ნამდვილი რაინდი იყო მურზაყანი, მაგრამ გუ-



ახლად დანიშნული საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი.



ჯვარის მონასტერი შიგნიდან. წინ მოსჩანს ძველი კვარცხლბეკი, ნიში, რომელშიაც ასვენია ძველი ჯვარი.

ლადი არ იყო, რასაც ცოლს აბრალებდა. — ისეთი ვიყავი ყმაწვილობაში, ისეთი — ისეთი, რომ ათთავიანი მდევი შემყროდა, ერთიც არ შემეშინდებოდა, ისე წავაცლიდი ათივე თავს, მაგრამ ქალბატონი რომ შევირთე, სულ გამოვიცვალე... ქალბატონია ბრალში, ქალბატონიო, — წამოიძახებდა ხშირად სტუმრებთანაც, რაზედაც ქალბატონი ჩაიცივებდა და არას უპასუხებდა... მართლაც, ქალბატონის მიზეზით, მურზაყანი, რაც შეიძლებოდა, შეღავათიანად ექცეოდა ყმებს და თუ ხან და ხან გაუჯავრდებოდა კიდევ, ამას სჩადიოდა, ჯერ ერთი, თავის თანამომხმებთა წაბაძვით და მეორედ იმიტომაც, რომ ყმებისთვის ეჩვენებინა: ის თავადი — ბატონი იყო და ისინი კი ყმების მონები. გულჩახვეულიც არ იყო: გაწყრომას, უსათუოდ, შეროგებასაც ზედ მიაყოლებდა, მაგრამ ადვილად სტყუვდებოდა და სწორედ მაშინ აყვირდებოდა, როცა მოტყუების ნაყოფს იგემებდა. ასეთს შემთხვევაში დამნაშავეს არ იწვევდა სამსჯავროდ და გინდ მარტოდაც უაფილიყო და თვით ძველთა-ძველი საქმეც მოჰგონებოდა, საშინლად აყვირდებოდა, დიდხანს იბღავლებდა და თავისავე წინაშე სცხრებოდა კიდევ... მისი აზრით, დამნაშავეს დასჯაც ეს იყო. ამის შემდეგ, რალაცნაირად, სინილისი ეწმინდებოდა და დამნაშავეს წინააღმდეგ შურსა და მტრობას გულში არ იმარხავდა.

სულ სხვა იყო ქალბატონი ტერეზია. იგი ბუნებით ნიჭით დიდად დაჯილდოებული და ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნე ქალი იყო; ღრმად მორწმუნე, ნაკითხი და საღმრთო წიგნების შეგნებით მცოდნე; მჭერმეტყველი, შორსგამჭვრეტი, გულლია და გულჩვილი ადამიანი. ყველა ამასთან, ის ნამდვილი დედა იყო ყმებისთვის, რისთვისაც ყმები აღმერთებდნენ კიდევ... მაგრამ არ მოსწონდათ ასეთი საქციელი ტერეზიასი მეზობელ თავადებს და მათს ქალბატონებს და საკადრისადაც არ იხსენებდნენ: „სოფლის დედაკაციო“, — იტყოდნენ; ან კიდევ: — „სოლომონ ბრძენი მოგვევლინაო“ და სხ., რაც ესმოდა ტერეზიას, მაგრამ არად აგდებდა მათს საჩივარს და შეუპოვრად ადგა თავის რწმენაზე.

— ეხლა როგორ მოვიქცეთ, ქალბატონო? — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მიუბრუნდა ქმარი ცოლს, — შენ მითხარი და მე დაგიჯერებ.

— თუ დამიჯერებ, ეგ წუწკი მოურავი გააგდე. ის თვალხარბია, შურით და გესლით საესე; ის, როგორც ყმებში, ისე შენს წინაშეც ღვარძლსა და ბოროტებას სთესავს: აქედ შენ გაბრაზებს და იქით ყმებს აშფოთებს და აჯანყებს... ის ბოროტია — ბოროტი; დაითხოვე და სხვა დაიყენე.

— დავითხოვოთ, დავითხოვოთ... მართლაც საძაგელია!.. როგორ?.. ი მუტრუკს დოუწვენია და კალოსავით გოულეწია. ეს საძაგელი ერთიც არ განძრეულა, გულზე ხელები დოუკრეფია და სიამოვნებით უყურებია, როგორ უზელდნენ გვერდებსა და ულურჯებდნენ სახესა!.. ახი იყო რომ მომეკლა!..

— კიდევ მომეკლაო!.. რად იცი ვერე ახირება? როგორ უნდა მოგეკლა, ადამიანო? განა არ იცი, კაცის მკვლელს მხოლოდ ჯოჯო-

ხეთში, ცეცხლსა და კუბრში აქვს ბინა! რად უნდა დაგებადოს ასეთი აზრები?

— კიდევ ღმერთს ვაწყეინე მე ცოდვილმა! დასწყევლოს ღმერთმა ი მაცდური ეშმაკი, რას ჩამცივებია ი წყეული! — შენანებით სთქვა მურზაყანმა და განაგრძო: — დავითხოვოთ, ბატონო, დავითხოვოთ; დღეიდან ის ჩემი მოურავი არ არის... მაგრამ ვინ დავაყენოთ იმის ადგილზე?

— ყმის მეტი რა გყავს! აირჩიე ერთი და დააყენე.

— არა, მე არა; შენ აირჩიე და მე დავაყენებ.


— პატოსანი ყმა კუჭუ ჩოგანია. დაიბარე და უბძანე, დღეიდან შენა ხარ ჩემი მოურავი — თქო.

— ის იყოს. რაკი იმას დაადე ხელი, ის იყოს... მაგრამ ისიც არ ვიკითხოთ, რისთვის დაამტვრია ი მუტრუკმა ეს საძაგელი?

— ვიკითხოთ, რატომაც არა!.. ჩოგანია გაიგებს და დაწვრილებით მოგვასხენებს... იქნება სულაც არაა ი ბიჭი დამნაშავე. მე რომ ი შენი გაცოცხილი მოურავის ამბავი ვიცი, სისხლიან კაცს არ შეუძლიან იმის მოთმენა! ჩაერევა, ბატონო, ყმებში, ცხვირს ზეით აიშვერს, თითქოს დიდი ვინმე იყოს, დაუძახებს საცოდავებს: — „მე ვარ მოურავი, ბატონის პირი, ისე უნდა გეშინოდეთ ჩემი, ვითარცა ბატონის, ისე უნდა მიყურებდეთ, ვითარცა ბატონს. ერთს რომ დავიძახებთ, ცეცხლში რომ შვილი ჩავიგვარდეთ, იმასაც არ უნდა მიხედოთ, მე უნდა მომდიოთ კუდშიო“.

— ჰა საძაგელი ქია!.. მართლა საძაგელი!.. „ბატონის პირი ვარო“? — ჰაი-ჰაი! — „ისე უნდა მიყურებდეთ, ვითარცა... ვითარცა თავადს მურზაყან ალმასხანასო!“ — ის უნდა დავაწვინო და გავროხგო!

— კარგია, გეყოფა წყენა; გაროზგილიცაა და გვერდებ ჩაღეწილიც... იქნება იმიტომაც სცემა გიდელიამ, რომ შენი შეურაცხყოფა ვერ მოითმინა. — მოხერხებულად შეაპარა ტერეზიამ თავადის და-



ჯვარის მონასტერი. პირველი ჯვარი რომელიც აღმართა წმ. ნინომ. მხედრული წარწერა შექმნილი დროასა.

მამშვიდებელი სიტყვა, რადგანაც უნდოდა საერთოდ მშვიდობა ჩამოეგდო.

— მამა უცხონდა იმას! ძალიან კარგი უქნია, თუ კაცი ვარ!.. სისხლიანი ბიჭი კია, ღვთის წინაშე, ი გიდელია!

— არის—არის და იმისთანა თავზე ხელაღებული ბიჭი მტრად არ უნდა გადიკიდო...

— კარგი, ბატონო, კარგი! როგორც გენებოს, ისე ჰქენი... მაგრამ, თუ არ გინდა ამ საქმემ ხელმეორედ გამაგულისოს, შენ თითონ გაიგე ნამდვილი ამბავი და საქმეც დააგანჩინებ; ჩემს ყურამდე ნუ მოაღწევინებ ამ საქმეს.

— თავადი აღმასხანიას გულისწყრომის გამომწვევი მიზეზი იყო მისი ყოფილი ყმის—დავითი გიდელიას, როგორც თავადი ამტკიცებდა, თავაშვებულობა... მართალია, მან იცოდა, რომ დავითს რაღაც ქალაქის ნაგლეჯი ეჭირა ხელში, რაც თავისუფლების საბუთად მოჰქონდა ყმას, მაგრამ ეს საბუთი მისგან არ იყო მიცემული, რის გამო სჯეროდა იმის სიყალბეც და არ უნდოდა, ყმას თავისი გაეყვანა... მაგრამ დავითმა შორს დაიჭირა თავი: იყო თუ არა ეს საბუთი პატივსაცემი, იმის საფუძველზე მან მტკიცე უარი გამოუცხადა თავადს აღმასხანიის სამსახურზე და ყოველგვარ ხარკის მიცემაზე... ერთის სიტყვით, გასწყვიტა მასა და ბატონის შორის გაბმული, ეგრედწოდებული, ბატონ-ყმური დამოკიდებულობის ჯაჭვი.— „მიმეზობლებს—ვემეზობლები, თუ არა და ის მისთვის, მე ჩემთვის; შემოსულხარ და დღეის იქით ფეხი არ შემოდგა, ბატონის სახელით, ჩემს ეზოში“.—მტკიცედ უთხრა დავითმა თავადის მოურავს, როცა ის თავისებური ბაქა-ბუქით მიადგა დავითს ხარკისა და სამსახურისთვის. მოურავმა ეს წინადადება ჰკუთხა დაკარგულის აზრად ჩასთვალა და ერთი-მეორედ ჩაიცივნა... უმზგავსო სიცილმა დავითს მწარედ უკბინა გულზე და რიხიანად შეჰყვირა:— „თუ სიცილზე არ შეგძულდება, ხანი არ დააყოვნო ისე გამეცალო“.—მოურავმა ეს შეურაცხყოფად მიიღო, თავი მალა დაიკავა, ერთი-მეორე ტუჩები აიპრუწა და ღვარძლიანად უპასუხა:— „ჰკუთხა დაგიკარგაქვს შე სიცილი...“ მაგრამ დავითმა სიტყვის დათავება არ დააცალა, ვეფხვივით მივარდა, მოიგდო ქვეშ, ჯერ საკმაოდ გასთელა, შემდეგ ჩაავლო ხელი ფეხებში და ეზოს გარედ გაათრია...

რაც დღეს თავადი აღმასხანიას სასახლის მოურავად ჩოგანია დაინიშნა, იმავ დღეს მიიღო ქალბატონისგან ბძანება, რომ ეკითხა გიდელიასთვის, რად იხმარა ძალმომრობა ბატონისგან მიგზავნილი მოურავზე. ჩოგანამ ბძანება შეასრულა. ის ჩავიდა გიდელიას სახლში და სიცილ-ხუმრობით მიესალმა დავითს.

— შენ აგაშენა ღმერთმა, —მისვლისათანავე უთხრა კუჭუმ დავითს, —რა ხანია მოურაობაზე მიღებასა ვცდილობ და ძლივს მეშველა. სულ მისი მოურავის ქებაში იყო ბატონი, სულ იმას გაიძახოდა, იმისთანა მოურავი არც ერთ თავადს არა ჰყავდა, მაგრამ გიშველა ღმერთმა! ი შენი მონათლული მოურავს გოუძახეს და იმის ადგილი მე მიბოძეს... ესლა იმითმე გამომგზავნეს, რომ გავიგო რად მოხდა თქვენ შორის უკმაყოფილება! ჩემგნით ნურაფერი გეწყინება თუ კაცი ხარ; რასაც მეტყვი, იმას მოგახსენებ ქალბატონს; ნაბძანები მაქვს ბატონს არაფერი მოგახსენო ამაზე.

— სულ ერთია ჩემთვის: გინდ ქალბატონს მოახსენე გინდ ბატონს, რომ მე მათი ყმა არა ვარ და არც ხარკს ვაძლევი,—დინჯად უპასუხა დავითმა.

— არც სააზატო ბეგარს იძლევი?

— რა თქმა უნდა, არა. აზატმა თუ სააზატო მისცა, მეტი რა უნდა? მაგრამ რატომ არ უნდა დაიჯეროს, რომ მე მას არ ვეკუთვნი! ერთ დღეს ვიყავი მისი ყმა—მოჯალაბე, დღეს არა ვარ... ჩემი ბატონი მოკვდა, მოკვდა თათრის ომში—ენგურზე და მე თავისუფლების საბუთი მომცა... ეს ამბავი კარგად იცის მურზაყანმა. როგორ არ იცის? არ იცის ვის აჩუქა ჩემი თავი?... თუ ის სწყენია, რომ თათრის ტყვიამ არ მომკლა, ან დაუბრუნა ღმერთმა ჩემი თავი ჩემს გაციებულს კერას, ეს სულ სხვა...

— კი, მაგრამ, არ გეწყინოს ჩემი სიტყვა, იქნება შენ პირადად ხარ თავისუფალი. ოჯახი, მიწა-წყალი! აქედან მაინც წაიღებს ბატონი თავისას.

— რა ოჯახიო, კაცო?! რა მიწა-წყალი?! —წყენით უთხრა დავითმა, —ეს ფაცხა თუ შურს ჩემთვის, დღესვე ჩოუდგამ ეზოში, მიწა-წყალი ჩემია; იმის მოდავე არავინ მინდა... რა უნდა ჩემგან? სამსახური მე არავისთვის არ დამიკლია: ვემსახურე მას თითონ, ვემსახურე იმას, ვისაც ჩემი თავი ათხოვა, ვემსახურე იმას, ვისაც ჩემი თავი აჩუქა, ვემსახურე დედოფალს, ვემსახურე სამშობლოს... ყველამ დამიფასა სამსახური, ყველას ვუყვარდი და აღმასხანიის გული ვერ მოვიგე და ვერა. ერ-

თი გაჭირებული დედის მეტი არავინ გამაჩნია და სული ამოუხსნია, სანამ ბეგარა, არ მიუცია. ეს არის კაცობა! არ იცოდა სად გამოეგზავნა? დაეცადა მოსვლა მაგრამ ღმერთი არა სწამს იმას... მილიციად რომ წაბძანდა, რატომ არ ახსოვს სად დარჩა თითონ და სად გამისტუმრა მე! მოიგონოს, რომ თითონ აბასთუმანის ტყეში ქეიფობდა, როცა ჩვენ წვიმასავით გვცვივოდა თავზე ტყვია; ისიც მოიგონოს, რომ როცა გაიგო თათარი ენგურზე გამოვიდაო, შინ გამოიქცა და აქ საწყალ დედაჩემს სულსა ხდიდა ბეგარისთვის... თუ ჩემი ბატონი იყო, თუ ჩემი თავი რამედ უღირდა, რატომ არ მომიგონა? რატომ არა სცა პატივი დედაჩემს? რატომ არ მომიკითხა დაჭრილი და ჭირნახი? მაგრამ ის ჩემს სიცილსეს კი არ აფასებს, ბეგარა უნდა ჩემგან—ბეგარა... ჯერ ორი კვირა არც კია, რაც მოვედი და ნაცვლად იმისა, რომ დავებარებინე, ენახა ჩემი ჭრილობები, ეკითხა რაც უბედურება გადამწყდა, დამახეთქა და დამახეთქა თავზე წუწკი მოურავი. ის წუწკი მართლა! ყოველ მეორე დღეს მაინც შემოიძახებდა:— „ბატონი ამოწყვეტილიაო, თათრის ჯარმა აგვიკლოო, ბატონს ბეგარა და სამსახური უნდაო, ბატონს სასახლე უნდა აუშენეთო...“ —რატომ იმას არა კითხულობენ მე როგორა ვარ ამოწყვეტილი? ესლა შენ გამოუგზავნიხარ, ვითომ რაო, თავისი უნდა გაიყვანოს?... ძალიან მიყვარხარ, კუჭუ, და პატივს გცემ, მაგრამ ამ საქმის გამო მობრუნებული აღარ გნახო... რაღა მოურავებს მიგზავნის თითონ გაისარჯოს—თითონ, მაგრამ არ გაწყურეს კი, თუ ჩემი ბიჭობაც უჩვენო.

ამის შემდეგ კუჭუს ერთი სიტყვაც არ უთქვამს; გამოემშვიდობა დავითს და წავიდა.

გავიდა რამდენიმე ხანი და მთელს ახლო-მახლო სოფლებს მოეფინა ხმა:— „დავითი გიდელიას სიკვდილამდე მიუყვანია ბატონის მოურავიო, ყმობის უღელი გადუგდია, ბეგარა არაფერი მიუცია, სამსახურზე უარი უთქვამს და მოკვლასაც დამუქრებია თავადს აღმასხანიასო“ —და სხ., მაგრამ ესმოდა თუ არა ეს მურზაყანს, მიუყრებულყო და ამაზე, მის წინაშე, ლაპარაკის ნებას არავის არ აძლევდა.

დიახ, ეს დავითი იყო მიზეზი თავადის გაბრახებისა... მაგრამ ამბავი ცოტა შორიდან დავიწყეთ.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.



ბალკანეთის ბოროტი გმირი: „დაჰხოცეთ, დაჰხოცეთ! აქ ჯერ კიდევ ბლომადაა ადგილი...“ (ეურნ. „იუგენდითი“).